ცნობის ფურცელი

№ 2122 | სამშაბათი, 15 აპრილი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2122

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტი“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში გოლოვინის პრ. ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ღე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ილია გაბრიელის ძე, ანნა ეგრაფის ასული დათუნაშვილები, ალექსანდრა გაბრიელის ასული და ნესტორ სარიდონის ძე გუგუშვილები გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას —პირველი საყვარლის მამისა და მამამთილისა უკანასკნელი—სიმამრისა,

გაბრიელ ბეჟანის ძის დათუნაშვილისას.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ხოლო ცხედრის გასვენება 16 ამ თვეს, ოთხშაბათს, საკუთარის სახლიდან, კრასნოგორსკის ქუჩა № 40 წმინდა ნიკოლოოზის ეკლესიაში დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე. (1—1)

ტიტულიარნი სოვეტნიკი ნიკო დავითის ძე თოფურიძე აცნობებს რა ნათესავთა და მახლობელთა მისთა გარდაცვალებასა მეუღლისა მისისა

ნატალია მიქამის ასულისა,

რომლის დასაფლავება არის დანიშნული 15-ს მდგომარე აპრილს, დილის 10 საათზე ს. აბაშას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. (1—1)

თავ. ნოე ბესარიონის ძე და ალექსანდრე ლასას ძე ლორთქიფანიძეები გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც დეპეშით, წერილით თუ პირადად სამძიმარი გამოუცხადეს პარმენ ბესარიონის ძის ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ე. ი. ჩიქოვანიძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.
ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.
პ. დ. ლაშქარიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ნ. ზ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
ი. ჯ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ლ. ი. ჭავჭავი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
ა. მუხსელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.
დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ბ. ზ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
გ. მ. ამბარდანოვი—ვენერიულისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.
მრ. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ნ. ზ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა).
მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კონსილიუმები—სამ მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21 (აფხაზის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (7.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
ამზადებს მსურველთ როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად მარტივ და იტალიანურ ბუხჰალტერიასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა და კორესპონდენციაში.
ფასი მორიგებით.
მსურველთ ვთხოვ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ახალციხის შესახვევი, სახლი 17, ბუხჰალტერს. (3—1)

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

გერმანია. პრუსიის კანონით ქალს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს რომელსამე პოლიტიკურ საზოგადოებაში ან დაესწროს პოლიტიკურ კრებას. მაგრამ რა კი ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, ეს კანონიც ჰკარგავს ძალას: არჩევნების გათავებამდე ქალსაც ეძლევა უფლება სახელმწიფოს სრულ-უფლებიანი წევრი იქნეს და ვერც ერთი პოლიციელი ვერ გაჰბედავს აუკრძალოს ქალს კრების მოხდენა, საზოგადოების დაარსება და საარჩევანო აგიტაცია

„ამ დროს საზოგადოებას შეუძლია დარწმუნდეს, რომ ქვეყანა არ დაიღუპება, თუ ქალი ნამდვილი სრულუფლებიანი მოქალაქე გახდება... კონსერვატორი ფონ კარდორფიც ამ აზრის არის. მე ვფიქრობ, უთქვამს კარდორფს, რომ კარგი იქნებოდა რეიხსტაგშიაც გვყოლოდა კოლეგებად რამდენიმე გონიერი ქალი, სხვის უბედურების თანამგრძნობი და თავის პასუხის გების შემგნები. რეიხსტაგში ქალების შესვლა ჯერ შორს არის, მაგრამ სახალხო კრებებზე, საარჩევანო კომიტეტების სხდომებზე და საზოგადოთ სააგიტაციო საქმეებში ეხლაც ვხედავთ... აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა მოღვაწე ქალი დემოკრატიის მხარეზე არის... კონსერვატორების მხარეზე ათიოდე მოღვაწე ქალი თუ იქნება; დიდი უმრავლესობა კი თანაუგრძნობს უფრო დემოკრატიულ პარტიებს“.

მოგვყავს დემოკრატიის თანამგრძნობ ქალების ერთი საარჩევანო ფურცელი: „მუშების ქალებო და დედებო! ხომ არ გსურთ, რომ თქვენი ახალ-გაზრდობა თქვენ დედებსავით უსახოოთ გაატაროთ, რომ შიმშილისა და სიცივის მიზეზით ათასი თქვენგანი ქუჩაზე გამოვიდეს და საზოგადოებრივ გარყვნილების მსხვერპლი გახდეს; თუ გსურთ, მაშინ, რასაკვირველია, არც კი უნდა იფიქროთ არჩევნებზე, ეს საქმე მამაკაცებს დაუთმეთ. მაგრამ თუ გსურთ გონებით განვითარებულ ადამიანს დაემსგავსოთ, თუ ჰფიქრობთ თქვენს თავზე და თქვენ შვილებზე და იმ დამაუძლურებელ შრომაზე, რომლის სიმძიმის ქვეშ ჰკვნესიან თქვენი ქმრები და ძმები, მაშინ გაილვიძეთ, შემოიკრიბეთ მთელი თქვენი ენერგია და ხელი შეუწყეთ მუშათა პარტიას, რომ რეიხსტაგში თავისი კანდიდატები გაიყვანოს. მხოლოდ ამათ შეუძლიათ ბოლო მოუღონ უსამართლობას და ბოროტებას; მხოლოდ ამათ იციან თუ რა არის ბავშვობიდან ფაბრიკაში მუშაობა... ეცადეთ ისეთი რეიხსტაგი გვქონდეს, სადაც აღარ იქნებიან თავისუფლების მტრები, მტარვალები და მუზმუზელები; რეიხსტაგში უნდა იქმნენ ისეთი პირები, რომელთაც სწამთ ჩვენი ადამიანური ღირსება და სურთ, რომ საარჩევნო აგიტაციის დროს არსებული წესი ჩვეულებრივ ნორმალურ წესად გადაიქცეს. ქალს, რომელიც მონად დარჩენას რჩეობს, უნდა ახსოვდეს, რომ დამონებულ დედას დამონებული შვილები ეყოლება და რომ ასეთ თაობას დამცირება და გაქირვება მოელის. გაიღვიძეთ, დებო, და დაგვეხმარეთ ხალხის ისეთ წარმომადგენლობის განხორციელებაში, სადაც ჩვენი ნამდვილი დამცველები იქნებიან. პური, თავისუფლება და სამართლიანობა ჩვენთვისა და ჩვენი ძმებისთვის—აი, ჩვენი ლოზუნგი“.

ირლანდია. რამდენჯერმე მოვიყვანეთ გაზეთებში აღნიშნული ხმა, ვითომც ინგლისის ეხლანდელ სამინისტროს განზრახვა ჰქონდეს აგრარულ რეფორმის შემდეგ ჰომრულიც მისცეს ირლანდიას. ეხლა პირველ მინისტრს მიუწერია მანჩესტერის ლიბერალ-უნიონისტების ასოციაციის თავმჯდომარისათვის, რომ ეს ხმა ფანტასტიურია—ასეთი აზრი მხოლოდ იმას მოუვიდოდა თავში, ვინც სრულებით არ იცნობს ეხლანდელ სამინისტროს და მის წევრებს. ასევე კატეგორიულად უარჰყოფდნენ უნიონისტები და კონსერვატორები აგრარულ რეფორმასაც, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ რადიკალურ რეფორმის პროექტი წარმოედგინათ. ირლანდია იარაღს არ დაჰყრის, სანამ სრულ თვით-მმართველობას არ მიიღებს. ეს შემდეგი ფაქტიდანაც სჩანს: ეხლა-ხან დუბლინში კრება იყო ირლანდიელ ნაციონალისტებისა; უნდა განეხილათ აგრარულ რეფორმის პროექტი. კრებას ორიათასზე მეტი ხალხი დაესწრო. პირველად ჯონ რედმონდმა ილაპარაკა: „როგორც კერძო პირის, ისე ხალხის ცხოვრებაშიაც არის ისეთი შემთხვევები, რომ თუ ერთხელ ხელიდან გაუშვი, მეორეთ აღარ განმეორდება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან აქვთ ეხლა საქმე ირლანდიელებს. საადგილ-მამულო კითხვის გადაწყვეტა ასეთ კარგ პირობებში არასოდეს არა ყოფილა. რაც უნდა ნაკლი არ ჰქონდეს ეხლანდელ პროექტს, მისი მიზანია—ლენდ-ლორდისმის საბოლოო მოსპობა. რაც შეეხება პროექტის ნაკლულევანებათ, თვითონ მთავრობის ინტერესი მოითხოვს მათ შესწორებას, რისთვისაც საკმაო უმრავლესობა ჰყავს ორსავე პალატაში. კრებამ რომ უარჰყოს ეს საკანონ-მდებლო ინიციატივა, ეს პროექტის დამარხვა იქნებოდა; ასეთივე შედეგი მოჰყვებოდა წვრილმანების ამყოლ კრიტიკასაც“. მოკლე კამათის შემდეგ, კრებამ თანახმად ო'ბრაიენის წინადადებისა, სიამოვნება გამოაცხადა პარლამენტში ასეთ ბილის წარმოდგენის გამო, რადგან იგი ბოლოს უღებს ეხლა არსებულ აგრარულ სისტემას ირლანდიაში; მაგრამ ამასთანავე კრებამ საჭიროდ დაინახა ზოგიერთ ცვლილების მოხდენაც. რამდენიმე სხვა რეზოლუციაც იყო, მაგრამ სხვაზე საყურადღებო რედმონდის მიერ შემოტანილი და ერთხმად მიღებული რეზოლიუციაა: „პირველი და უდიდესი მოთხოვნილება ირლანდიისა ეროვნული თვით-მმართველობაა. კრება იმეორებს იმ მოთხოვნას, რომელიც ამ ასის წლის განმავლობაში არც ერთხელ არ დაუვიწყნია ირლანდიას—მას უნდა დაუბრუნდეს საკონსტიტუციო უფლება გაუძღვეს თავის თავს არჩეულ საკანონმდებლო საკრებულოს საშუალებით, რომელიც პასუხის მგებელი იქნება ირლანდიის ხალხის წინაშე.

ახალი ამბავი

✦ მარტის პირველ რიცხვებში ბათუმში განსამართლებულ მუშებს ამ დღეებში სააპელაციო საჩივარი შეუტანიათ ტფ. სასამართლო პალატაში. ამასთანავე მუშებს პალატისათვის განუცხადებიათ, რომ დამცველებად ისევ ის ვექილები ეყოლებათ, რომელთაც ბათუმში დაიცვეს მათი საქმე.

✦ ამას წინად ვწერდით, რომ ერთ მდიდარ ტფილისელს აზრადა აქვს ქალაქს 100 ათასი მანეთი შესწიროს სავადმყოფოს გასამართავად. ეს ტფილისელი მიხეილ იოსების ძე არამიანცია. გუშინ, 14 აპრილს, ბ-ნმა არამიანცმა კიდეც გადასცა ქალაქის მოურავს 25 ათასი მანეთი. დანარჩენს არამიანცი მაშინ წარადგენს, როცა სავადმყოფოს გეგმა იქმნება დამტკიცებული. სამკურნალო, არამიანცის სურვილით, ან ქირურგიული უნდა იყოს, ან სულით ავადმყოფთათვის.

✦ ქუთაისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტს დეპეშით სთხოვენ პეტერბურგიდან, გამოგზავნეთ კომიტეტის წევრების ბ.ბ. სტაროსელსკისა, ტიმოფეევისა, ახოტინისა, თუმანიშვილისა, დოლგუბინისა, ვუჩინოს, ქუთათელაძისა, ბაქრაძისა და სხვათა ცალკე აზრი ყველა წოდების სასოფლო დაწესებულების (всесословная волость) შემოღების შესახებაო.

✦ ამ თვეში შეუდგნენ სახალხო სახლის აგებას კიროჩნისა და დიდ-მთავრის ქუჩებზე და ორ არშინზე კედელი კიდეც აშოიყვანეს. გეგმით შუაში თეატრი უნდა გაიმართოს, მარჯვნივ, კიროჩნის ქუჩისკენ, დარბაზი ლექციების საკითხავად, მარცხნივ, ველიკოკნიაზის ქუჩისკენ, წიგნთ-საცავი და სამკითხველო. ძირს გაიმართება სასადილო და საჩაიე.

✦ როგორც „ჩერნ. ვესტ.“ ს გაუგია, მინისტრთა კომიტეტი ამ აპრილში დაამთავრებს იმ საქმეების განხილვას, რაც კავკასიას შეეხება.

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, უმაღლესს სამხედრო მთავრობას აზრადა აქვს ამა წლის 15 აგვისტოს იდღესასწაულოს ბათუმის შემოერთებიდან 25 წლის შესრულება.

✦ დღეს საღამოს ქუთაისში მოხდება საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. რადგან კრება პირველად (31 მარტს) არ შესდგა, დღევანდელი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

✦ შაბათს, 13 აპრილს, მოხდა ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების კრება. კრებამ ჯერ წარსულის წლის ანგარიში განიხილა. საზოგადოებას ამ წელს შემოსვლია 4645 მან. 69 კაპ. ხარჯი ჰქონია—1210 მან. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ განიხილა მოხსენება სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ. სკოლა საზოგადოებამ უნდა შეინახოს. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა დაევალოს გამგეობას, აღძრას შუამდგომლობა წევრთა შვილებისთვის სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ. დასასრულ მოხდა არჩევანები. გამგეობის წევრებად აარჩიეს: დ. ა. მარგულოვი, ა. ი. გრიქებინი, ცილიანი და ნ. ვ. აბრამიანცი; ამათ კანდიდატებად: კ. მ. შირინიანი, ი. ი. ცისინი, კ. ოქჟანიანი და ს. ა. გალუსტოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად კ. ე. ბოზეხი, ტერ-არუთინოვი, ვ. ა. ავაგიანი და ვ. ა. მელქონოვი.

✦ სათანადო დაწესებულებამ უკვე გააწერა სახელმწიფო გადასახადი ტფილისის გუბერნიის ქალაქების უძრავ ქონებას. ტფილისზე გაწერილია—122,814 მან., ახალციხეზე—2,520 მ., გორზე—2,000 მ., სიღნაღზე—1863 მ., თელავზე—1562, ახალქალაქზე—1413 მ., კოჯორზე—1374 მან. და დუშეთზე—454 მანეთი.

✦ ჩაის მოყვანა-მოშენების საქმე თანდათან ფეხს იკიდებს დასავლეთ საქართველოში. როგორც მკითხველებმა იციან, ჩაის პლანტაციები გააშენეს საუფლისწულო უწყებამ და კერძო კაცებმა ჩაქვაში. ამ ჟამად საუფლისწულო უწყებას იქ 55 დესეტინა ჩაის პლანტაცია აქვს. შარშან ჩაის მოსავალი ოთხჯერ მოჰკრიფეს: პირველად აპრილსა

და მაისში—76.325 გირვანქა ფოთოლი; მეორედ ივნისში—62,430 გირვანქა; მესამედ სექტემბერს—37,412 გირ. და მეოთხედ ოქტომბერში. სულ დამუშავების შემდეგ საუფლისწულო უწყებას 1000 ფუთი ხმელი ჩაი დაუმზადებია. კერძო კაცებს მოუკრეფნიათ 6,829 ფუთი ნედლი ფოთოლი და წარუდგენიათ დასამზადებლად საუფლისწულო უწყების ქარხანაში. ეს უკანასკნელი გირვანქას 20 კაპ. ამზადებს. $4^1/_2$ გირვანქა ნედლ ფოთლიდან დგება ერთი გირვანქა ჩაი.

✦ გუშინ, 14 აპრილს, ტფილისიდან გორში წავიდა ოლქის სასამართლოს სესია.

✦ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას ამა 1903 წლისათვის მიწების გასამიჯნავად გადაეცა 1600 მანეთი.

✦ ეხლა ხან ბაქოში საზოგადო აღწერა მოხდა. როგორც აღმოჩნდა, კერძოდ ბაქოში 126 ათასი სული მცხოვრები ყოფილა; ბაილოვის მისსა, ჩორნი და ბელი გოროდსა და ბიბი-ეიბათში—17 ათასი სულ ამრიგად ბაქოში 143 ათასი. სული მცხოვრები ყოფილა.

✦ როგორც გაღმოგვცეს, თერჯოლის სიხარულიძის მკვლელობაში ბრალდებულნი—სამსონ ბედია და ილარიონ ლეჟავა—უკვე შეუპყრიათ: პირველი ბათუმში, მეორე ღ. სამტრედიაში. ილარიონ ლეჟავა წინად მსახურად ყოფილა სპ. სიხარულიძესთან.

✦ წარსულ კვირას ტფილისიდან ბათუმისაკენ საექსკურსიოდ წავიდა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის 60 მდე მოსწავლე ნ. დ. მახათაძის ხელმძღვანელობით. რკინის გზის გამგეობამ ექსკურსანტებს განსაკუთრებული ვაგონი დაუთმო. მოსწავლეებმა ბათუმი დაათვალიერეს. მეორე დღეს ქუთაისს იყვნენ, იქიდან გელათისა და მოწამეთის დასათვალიერებლად წავიდნენ. ექსკურსანტები 13 აპრილს დაბრუნდნენ ტფილისში.

✦ როგორც დუშეთიდან გვწერენ, 8 აპრილის ავდრებს თოვლი მოჰყოლია. თოვლისა და სიცივისაგან ზოვრგან ნაადრევად გამოსული ხეხილეულობა გაფუჭებულა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ მაზრის უფროსებმა წარუდგინონ ხოლმე ცნობები წყალდიდობისაგან ხიდებისა და გზების დაზარალების შესახებ.

✦ ამას წინად უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სულით ავადმყოფმა პავლე მანძულაშვილმა მოჰკლა ქარელის მამასახლისი ბაქრაძე. გორის მაზრის უფროსმა ეხლა შეატყობინა გუბერნატორს, რომ ამჟამად მანძულაშვილის გარდა გორის მაზრაში ორი ჭკუაზე შეშლილია: სოფელ სოსირეთში—კიტა დიკალიშვილი და გორში—ალექსანდრე ფილონოვი. ეს უკანასკნელი თავისუფლად დადის რკინის გზის სადგურზე და შიშის ზარსა სცემს გამვლელ-გამომვლელებს. მაზრის უფროსმა სთხოვა გუბერნატორს, ეს სულით ავადმყოფნი სამკურნალოში მოათავსონ.

✦ ხორცისა და პურის ნიხრის გამწესებელ კომისიას შესაძლებლად ვერ უცვნია ნიხრის მომატება.

✦ დესიმონოვის ქუჩაზე მცხოვრებთ ხელის მოწერით შეუგროვებიათ 160 მანეთი ამ ქუჩაზე „ვაშინგტონის" სასტუმროს ერთის ფარნის დასადგმელად. მცხოვრებთ სთხოვეს ბოქაულს, მიჰმართოს ქალაქის გამგეობას, რომ დანარჩენი ფული იმან გაიღოს.

✦ ქალაქის ბჟეთაღმა შენ-ფოტუელმა გასინჯა აგოგოვის სასმელ წყლების ქარხნის ცხენები და სამს ქოთიო აღმოაჩნდა. განკარგულება მოახდინეს ამ ცხენების დახოცვის შესახებ.

✦ სახელმწიფო მიწების უფროსი ზედამხედველი გედერნიკოვი მიწათ-მოქმედებას სამინისტროს მიერ დაინიშნა ამიერ კავკასიის სახელმწიფო ტყეთა მიწების ზომწესრიგებელ საქმის მწარმოებლად.

✦ რეიუზე, „ველისავეტპოლის" სასტუმროში მცხოვრებშა ერთმა კაცმა, სარტმა, პოლიციას გამოუცხადა, რომ ნომრიდან გუშინ ქურდებმა 13,700 მოიპარესო. ამ სარტსა და იმის მამას სამარყანდის ოლქში დიდი ვაჭრობა ჰქონიათ. მარშან აბრეშუმეულობის გასასყიდად ეს სარტი ბაქოში ჩამოსულა, გაუყიდნია საქონელი და 24 თებერვალს აქ, ტფილისში, მოსულა. აქედან მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში აპირებდა წასვლას, მაგრამ რადგან მიზეზებისა გამო ვეღარ წასულა. სხვათა შორის, გაუცნია ზემოხსენებულ სასტუმროს პატრონის ძმა ფარსადოვი, რომელიც თითქმის ყოველ დღე დადიოდა ნომერში ნაცნობთან და სვამდა დილ-დილაობით ჩაის. ქურდობის წინა დღეს, სარტს შვეიცარისათვის დაუძახნია და კონვერტზე ადრესი დაუწერინებია (თითონ წერა არ იცის). ამ კონვერტით იგი 13 ათას მანეთს უგზავნიდა ერთ სამანუფაქტურო ფირმას. მეორე დღეს, როდესაც ფარსადოვთან ჩაისა სვამდა, ეს კონვერტი სტოლზე დაუდვია და ნომრიდან გარედ გასულა. ცოტა ხნის შემდეგ თან გაჰყოლია ფარსადოვიც. უკან დაბრუნებულს უნახავს, რომ სტოლზე კონვერტი აღარ იყო. შვეიცარს უთქვამს, როდესაც ფარსადოვი გამოდიოდა, ვნახე ხელში კონვერტი ეჭირაო. სარტმა ეს ამბავი პოლიციას აცნობა. პოლიციამ ფარსადოვი და იმისი ძმა დააპატიმრა. მერე პროკურორი და გამომძიებელიც მოვიდნენ, გაჩხრიკეს ფარსადოვის სადგომში, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს, თუმცა შვეიცარი თავისას ამბობდა. როდესაც სარტის ნომერი გაჩხრიკეს, ტახტზე, ბალიშს ქვეშ, ჰნახეს პაკეტი, მაგრამ შიგ ფული არ აღმოჩნდა. პაკეტში მხოლოდ ბარათები იყო. გამოძიებას შეუდგნენ.

✦ აპრილის პირველ რიცხვებში ტფილისის მაზრის სოფელ გეორგიწმინდას წითელა გაჩენილა. წითელათი ავად გამხდარა 23 ბავშვი; აქედან 10 მორჩენილა.

✦ მარტის განმავლობაში ქ. ტფილისში ყვავილით ავად ყოფილა 2 კაცი. გარდაცვლილა 1, ყელის ჭირვებით—20, გარდაცვლილა 2; ხუნაგით—31, გარდაცვლილა 3; ხურვებით—21, მუცლათი 4 და სხვ.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის სააზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს მიუცილებელ საჭიროდ უცვნია შეიძინოს სკოლისათვის საჭირო ადგილი და შენობა; მაგრამ, რადგანაც ამ კომიტეტს საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობის ნება დაურთველად არ შეუძლიან რამე უძრავი მამული შეიძინოს სკოლისთვის, ამიტომ კომიტეტს განუზრახავს მოიწვიოს საზოგადოების გამგეობა და მასთან ერთად მოილაპარაკოს სკოლისათვის საჭირო ადგილისა და შენობის შეძენის შესახებ.

როგორც ლაპარაკობენ, სააზნაურო სკოლის შენობისათვის სურთ შეიძინონ ვიტუშინსკის ადგილი, ძველი ტფილისის ქუჩაზე მდებარე, რომელსაც ამას წინად ევაჭრებოდნენ სასულიერო სემინარიის შენობის ასაგებად.

✦ როგორც გავიგე, საადგილ-მამულო ბანკის შეერთებულ საკრებულოს საჭიროდ უცვნია ბანკის რწმუნებულთა მომავალს კრებაზე აღძრან კითხვა იმის შესახებ, რომ ბანკის გამგეობას მოემატოს ერთი დირექტორი და ერთი დამფასებელ კომისიის წევრი.

✦ ბანკის რწმუნებულთა მომავალი საზოგადო კრება, როგორც გავიგე, დანიშნულია 23 მაისისათვის. ეს ერთი კვირაა, შეერთებული საკრებულო თითქმის ყოველ დღე იკრიბება და იხილავს დამფასებელ კომისიის ოქმებს და ემზადება მომავალ კრებისთვის.

✦ ქუთათურ აგურხანების პატრონებმა, რიცხვით 24 კაცმა, შეადგინეს ამხანაგობა, რომლის გამგეობა მიანდეს 5 კაცს. ამათი მოვალეობაა: თვალ-ყური ადევნონ, რომ აგურხანებში კარგი ღირსების აგურსა და კრამიტს ამზადებდნენ; იზრუნონ ადგილობრივის აგურისა და კრამიტის გავრცელებაზე როგორც ქუთაისში, ისე სხვაგანაც და სხვა. გამგეობა მყიდველებიდან თვითონ იღებს ფულს და ყოველს შაბათ საღამოს ურიგებს მეაგურხანეთ იმის მიხედვით, თუ რამდენი გაიყიდა მათი აგური ან კრამიტი. ამხანაგობის გამგეთ შრომის ჯილდოდ ეძლევათ 1000 გაყიდულ აგურზე 20 კაპ. და 1000 კრამიტზე 30 კაპეიკი. ამხანაგობა ირჩევს გამგეობას ორის წლის ვადით, რომლის განმავლობაში მათ არ შეუძლიათ ამხანაგობის ნება დაურთველად თავი დაანებონ სამსახურს, თუ ხანგრძლივი ავადმყოფობა არ შეხვდათ.

რუსეთის ქრონიკა

✦ წარსულ №-ში ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა უმაღლესი რესკრიპტი ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე და ახალი ინსტრუქცია ფინლანდიის დიდ სამთავროს უმაღლეს მმართველობისათვის. ამათ გარდა „პრავიტ. ვესტნიკ"-ში (№ 80) დაბეჭდილია თვით ის უმაღლესი დადგენილება, რომელიც მოხსენებულია რესკრიპტში. ვბეჭდავთ ამასაც:

უმაღლესი დადგენილება

ფინლანდიაში სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველ დონისძიებათა შესახებ

ხელმწიფე იმპერატორმა, ფინლანდიის დიდ სამთავროს მინისტრ სტატს სეკრეტარის უქვეშევრდომილესის მოხსენების თანახმად, 1903 წლის 20 მარტს (2 აპრილს), ცარსკოე სელოში, კეთილ ინება და დაამტკიცა შემდეგი დროებითი დადგენილება ფინლიანდიაში სახელმწიფო წესიერებისა საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად:

1. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ნება ეძლევა:

ა) დროებით დახუროს სასტუმროები, წიგნის მაღაზია-საწყობები და საზოგადოდ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი;

ბ) აღკრძალოს ყოველგვარი საზოგადო და კერძო კრება;

გ) დახუროს კერძო საზოგადოებანი და მათი განყოფილებანი;

დ) აუკრძალოს ფინლიანდიაში ცხოვრება იმ პირთ, რომელთაც მავნედ იცნობს სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის.

2. ის პირნი, რომელთა ფინლანდიიდან რუსეთში გადასახლებას გადასწყვეტს გენერალ-გუბერნატორი, გადაეცემიან შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც ნება ექნება თავის შეხედულობით პოლიციის ზედამხედველობას დაუქვემდებაროს ეს პირნი თანახმად არსებულის კანონებისა. გენერალ-გუბერნატორის ან გუბერნატორის მიწერილობით, ეს პირნი უნდა დაატუსაღონ საზოგადო პოლიციისა ან ჟანდარმთა კორპუსის მოხელეებმა და საპატიმროში დაამწყვდიონ დანიშნულ ადგილას გაგზავნამდე. აგრეთვე უნდა დაპატიმრებულ იქმნან ისინი, ვისაც ფინლანდიაში ცხოვრება აღეკრძალა და დანიშნულ ვადაზე არ წავიდა ფინლიანდიიდან.

3. იმ პირთ, ვინც 1-ლ და მე-2 მუხლის თანახმად ფინლიანდიიდან გაძევებული იქმნებიან, შეიძლება მოესპოთ სახელმწიფო პენსია, მაგრამ ამისთვის საჭიროა უმაღლესი ნებართვა.

4. ფინლანდიის გუბერნიის გუბერნატორებს ნება ეძლევათ ადმინისტრატიულის წესით გადასწყვიტონ საქმეები იმათ შესახებ, ვინც დაარღვევს უმაღლეს ბრძანებას საზოგადო ყრილობათა შესახებ ან არ აასრულებს გუბერნატორების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათ და პოლიციის იმ წესებს, რომელნიც საჯაროთ იქმნებიან გამოცხადებულნი. დამნაშავეთ გუბერნატორები მიუსჯიან ჯარიმას, თანახმად არსებულის სათანადო წესისა, მაგრამ არა უმეტეს 400 მარკისა თითო დამნაშავეს; თუ ვინმემ ჯარიმის გადახდა ვერ შეძლო, დაპატიმრებულ იქნება, თანახმად სისხლის სამართლის მე II დებულების მე-5 §-ისა. გუბერნატორების დადგენილებაზე საჩივრის განცხადება გენერალ-გუბერნატორთან შეიძლება ორის კვირის განმავლობაში; გენერალ-გუბერნატორის გარდაწყვეტილება ამ საჩივრების გამო საბოლოოთ ჩაითვლება და აღარსად მისი განსაჩივრება აღარ-ღარ შეიძლება.

5. საქალაქო მაგისტრატები, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო სათემო მმართველობანი ექვემდებარებიან გენერალ გუბერნატორისა და გუბერნატორების ზედამხედველობას შემდეგის წესით:

ა) იმ პირთა შესახებ, რომელნიც არჩეულ იქნებიან ბურგომისტრად, რატმანად, საქალაქო თვით-მმართველობის რწმუნებულთა თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის ამხანაგად, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო სათემო მმართველობის სხვა თანამდებობაზე, უნდა ეცნობოს ადგილობრივ გუბერნატორს; ამისი ნება იქმნება დაამტკიცებს თუ არა წარმოდგენილს კანდიდატს. თუ არჩეული ორჯელ არ იქმნა დამტკიცებული, თანამდებობის პირს ჰნიშნავს სენატის სამეურნეო დეპარტამენტი გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით.

ბ) სენატის სამეურნეო დეპარტამენტს, გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით, ნება აქვს ადმინისტრატიულის წესით გადააყენოს სამსახურიდან ბურგომისტრები, რატმანები, საქალაქო რწმუნებულთა თავმჯდომარე და მისი ამხანაგი, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო სათემო მმართველობათა ყველა მოხელენი.

გ) გუბერნატორებს ნება ეძლევათ შეაჩერონ ყველა თვითმართველობითი დაწესებულების იმ დადგენილებათა აღსრულება, რომელნიც არ შეეფერებიან საზოგადო სახელმწიფო ინტერესებს ან ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებას ან არა და უკანონონი არიან. ყოველი ამგვარი თავისი განკარგულება გუბერნატორმა უნდა შეატყობინოს გენერალ-გუბერნატორს, რომელიც, თუ არ მოიწონებს გუბერნატორის განკარგულებას, სენატს მისცემს წინადადებას იმ განკარგულების მოსპობის შესახებ.

6. ამ უმაღლეს დადგენილებას ძალა ექნება სამის წლის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც გამოცხადებული იქნება ფინლანდიის დიდ სამთავროს დადგენილებათა კრებულში.

პრესსა

რუსულ-თათრულმა გაზეთმა „თარჯიმანმა" ამ დღეებში იდღესასწაულა 20 წლის არსებობის იუბილეი. მეტად ძნელია პროვინციალურ გაზეთის, ნამეტურ თათრულის, არსებობა! მუშაკთა ნაკლებობა, მკითხველთა სიცოტავე, სხვა-და-სხვა დაბრკოლება—ყველაფერი ხელს უშლის გაზეთის გამოცემას და დიდი ენერგიაა საჭირო სძლიო მრავალ ხელშემშლელ გარემოებათ. აღნიშნავს-რა ამას „თარჯიმანის" რედაქცია, ამბობს:

ასეთ ძნელ პირობებში მუშაობით ჩვენ გამოვეცით 965 ნომერი გაზეთისა, სულ ერთ მილიონ ნახევარი ეგზემპლიარი რუსეთში და ერთი მილიონი საზღვარ-გარედ, უმთავრესად ოსმალეთში. სულ, რაც დაიწერა „თარჯიმანში", შეადგენს ლენტას 1500 არშინის სიგრძისას, წვრილის თათრულის შრიფტისას.

რა შედეგი მოჰყვა ამ მუშაობას? არ ვიცით, მაგრამ ამ ლენტაზე აღნიშნულია ზოგი რამ სასიამოვნო მოვლენა რუსეთის მაჰმადიანთა ცხოვრებაში ამ 20 წლის განმავლობაში:

1) კეთილ ადამიანებმა სამი მილიონი მან. შესწირეს საქველმოქმედო საქმეებსა და სკოლებს; 2) გაიხსნა თუ გადაკეთდა ათასზედ მეტი მაჰმადიანური სკოლა; 3) ახალგაზდა თარჯიმანებმა და მწერლებმა გამოსცეს არა ნაკლებ 300 ახალის წიგნისა ლიტერატურულის ან მეცნიერულის შინაარსისა; 4) დაარსებულია 8 საქველმოქმედო საზოგადოება და 5) ყველაფერზე უფრო საყურადღებო—ბევრი ნიშანი მაჰმადიანთა გამოღვიძებისა; მაჰმადიანთა საჭიროებაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ არა-თუ რუსეთში, არამედ ყველგან, თვით პარიჟის მთებში, კულჯაში, ჩინეთში და სხვა...

ვისურვებთ, რომ ამ ნიშნებმა იმრავლონ და „თარჯიმანის" „ლენტაზე" უფრო მეტი სასიამოვნო მოვლენა აღინიშნოს...

* *
*

ნიკიტინის ცირკში ეს რამდენი ხანია ჭიდაობა იმართება. ბევრი დიდის ინტერესით თვალ-ყურს ადევნებს, როგორ ჭიდაობენ სხვა-და-სხვა ჯურისა და ეროვნების „ბელადები". ბოლოს დროს გაზეთებშიაც იბეჭდება ამ ჭიდაობის შესახებ ცნობები; მაგრამ ზოგი უცნაური რამ იბეჭდება,—ისე უცნაური, რომ გაკვირდები: რისთვის არის საჭირო „ტენდენციის" შეტანა ცირკის სპორტში. აი, რა სწერია „კავკაზ"-ში პარასკევს გამართულ ჭიდაობის გამო:

ხალხი დაინტერესებული იყო, ვინ გაიმარჯვებს: მოორი (ზნამენსკი) თუ კავკასიელი მოჭიდავე რუსიშვილი. პირველ შეტაკებაზე მოორმა პერანგი გაუხია რუსიშვილს; ამის შემდეგ შეიქნა ცხარე ჭიდაობა. მოორი უფრო მეტ ღონეს იჩენდა, რუსიშვილი მეტ ხერხსა. კავკასიელი მოჭიდავე ძალიან ცდილობდა, თავისი მოპირდაპირე პირაღმა წაექცია; მაგრამ ეს ვერ მოახერხა; ხოლო ჭიდაობის დროს, ბარიერთან, ცირკის კარებ ს ახლო, რუსიშვილი მოულოდნელად ეცა მოორს, ხელი ჰკრა და ორივე მოჭიდავე ბარიერს იქით გადავარდა. ქანდარამა, რომელიც გაჭედილი იყო „ტუზემცებით" და პარტერის ერთმა ნაწილმა, აგრეთვე „ტუზემცებმა", ველურის აღტაცებით აღიარეს მოორი დამარცხებულად. საზოგადოთ მეტად ველური სანახაობა იყო.

ჯერ ერთი, რომ გაზეთი, ვინ იცის რისთვის, თვით ფაქტს ამახინჯებს, რადგან რუსიშვილს ნამდვილად რამდენჯერმე დაუცია მოორი; შემდეგ ერთი ეს ვიკითხოთ: რა შუაშია აქ „ტუზემცები" ან რას ჰნიშნავს ეს „ველური აღტაცება" და სხვა ამგვარი? სრულიად არ შეეფერება დარბაისელ გაზეთს ასეთი კილო უბრალო სპორტისა გამო. სრულიად უადგილოა და მეტად უცნაურია „ტენდენციის" შეტანა ჭიდაობის აღწერაში...

ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ქუთაისში

(წერილი ქუთაისიდან)

ქალაქის საბჭოს ხმოსანმა გ. ე. ფონ-შულცმა ფრიად საყურადღებო მოხსენება წარუდგინა ქალაქის მოურავს. ეს მოხსენება იმდენად საინტერესოა ყველა ქართველისთვის, რომ საჭიროდ ვსთვლი მოკლედ გავაცნო მკითხველთ მისი შინაარსი.

„ამ წლის ზაფხულში სწორედ 800 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც 1103 წელს მეფე ბაგრატ III ბიზანტიელ ხუროთ-მოძღვართა შემწეობით, რომელიც გამოუგზავნა მას ბიზანტიის იმპერატორმა, მისმა სიმამრმა, ლეო I-მა, შეუდგა ქუთაისში ტაძრის შენებას,—იმ ტაძრისას, რომლის ნანგრევებიც ეხლაც მეფურად დაჰყურებენ მთელს ქუთაისს... თუ მხედველობაში არ მივიღებთ უფრო ძველის დროის ციხე-კოშკების კედლების ნანგრევებს, რომელთაც უცხოელთა, უმეტესად თურქთა ხუროთ მოძღვრების ელფერი დაჰკრავს, იმ შემთხვევაში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები ერთად-ერთი ნაშთია, რომელიც შეუნახავს მრავალ საუკუნოვან და მრავალ-ტანჯულ საქართველოს ცხოვრებას. ეს არის უტყვი მოწამე საქართველოს სამეფოს როგორც უუბრწყინვალეს ეპოქისა, ისე მის უუდიდეს უბედურებათა ამ ნანგრევთა კედლებს უნახავთ როგორც მთელი დიდება და ბრწყინვალება დავით აღმაშენებლისა და თამარისა, ისე მთელი უბედურებანი მალექ-შაჰის, თემურლენგისა და სპარსეთის შაჰთა შემოსევისაგან. ეს ნანგრევები რეინის ნაპირებზე, ან ვოჰეზისა და ტიროლის მთებში რომ იყვნენ ძლიერ მართულნი, ეჭვი არ უნდა, დიდის ყურადღებითა და მზრუნველობით დაიცავდა მათ მცხოვრებლები, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ისტორიულ თვითცნობიერებით და თავისის წარსულისადმი პატივისცემითა და სიყვარულით". შემდეგ მოხსენების პატივცემული ავტორი განაგრძობს, თუ რა უყურადღებოთაა დატოვებული ყველასაგან ეს ძვირფასი ძეგლი; გარეშემო მცხოვრებთა ყურადღება კი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მუქთად ქვის სატეხ ქარხანად გადაუქცევიათ და ტაძრის თლილის ჩუქურთმიან ქვებით ბოსლებისა და თავლების კედლებს იშენებენო.

თუმცა ამ ქიმად ნანგრევების დაცვა ეპარქიალურ უწყების მოვალეობას შეადგენს, და საქმეს რომ ფორმალურად შევხედოთ, ქალაქი თითქოს განთავისუფლებულია მათზე მზრუნველობისაგან, მაგრამ ქალაქის თვით-მმართველობის ზნეობრივი მოვალეობაა, რომ დაიცვას ეს ერთად ერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლი და გარეშესავით გულხელ-დაკრეფილი არ უყუროს მის შემუსრვასა და განადგურებას.

წლევანდელ მკაცრ ზამთარს, როგორც ავტორი ამბობს, დიდი ზიანი მიუყენებია ნანგრევებისთვის—სულ გამონგრეულა ქვევით საკურთხევლის კედელი; ასე რომ მალე ზევითა ნაწილიც ჩამოინგრევა, თუ ეხლავე ქვევითა ნაწილი არ გამაგრდა. ამისგან კი ადვილი შესაძლებელია დიდი უბედურება დატრიალდეს, რადგან ნანგრევების ჩრდილში მუდამ ბავშვები თამაშობენ და გარეშენიც ბევრნი დადიან ნანგრევების სანახავადო. ბ-ნი ფონ-შულცი შემდეგს წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას:

ა) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ეპარქიალურ მთავრობის წინაშე, რომ ნანგრევები რიგიანად იქმნეს დაცული;

ბ) ქალაქმა გადასდოს 150 მანეთი, რომ ცემენტით გამაგრებულ იქმნეს ნანგრევების ქვევითა ნაწილი და აგრეთვე ყველა ის ნაწილები, სადაც კედლის ზედაპირი ჩამონგრეულია;

გ) ყოველ წლიურად გადაიდოს ჩამონგრეულ კედლების თავის დროზე შესამაგრებლად 30 მანეთი;

